სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის

ა ნ გ ა რ ი შ ი

- **მიზნობრივი ჯგუფი:** რეგიონების რწმუნებულ-გუბერნატორები და შესყიდვების სამსახურების ხელმძღვანელები.
- **სემინარის სახელწოდება** - „სახელმწიფო შესყიდვების კურსი".
- **სემინარის ხანგრძლივობა:** 6 სთ.
- **სემინარის დაწყებისა და დასრულების თარიღი:** 29 ნოემბერი.
- **სემინარი ჩატარდა:** 12:00 სთ.-დან 18.00 სთ.-მდე.
- **სემინარის დაწყებისთანვე მსმენელებს დაურიგდათ მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელოები**
- **სემინარი შედგა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინიციატივით.**

2015 წლის 29 ნოემბერს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტთან ერთად, ჩატარდა ერთობლივი ტრენინგ - სემინარი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებზე, რეგიონების რწმუნებულ-გუბერნატორებისა და შესყიდვების სამსახურების ხელმძღვანელებისათვის.

შეხვედრაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარემ და დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სიახლეებზე, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ახალ პროცედურებზე, გამარტივებული შესყიდვებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრეს. რწმუნებულ-გუბერნატორებმა ყურადღება გაამახვილეს რეგიონებში არსებულ გამოწვევებზე და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს კომპეტენტურ პირებთან ერთად იმსჯელეს მათი გადაჭრის გზებზე.

სემინარი გახსნა სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარემ ლევან რაზმაძემ, რომელმაც ვრცლად ისაუბრა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ განხორციელებულ სიახლეებსა და პერსპექტივებზე.

სემინარს უძღვებოდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის კვალიფიციური ტრენერები:

1. **კონსტანტინე გუგეშაშვილი** - მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი;
2. **გიორგი ლაცაბიძე** - იურიდიული დეპარტამენტის უფროსი.

სემინარზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

- სახელმწიფო შესყიდვების ზოგადი მიმოხილვა: სახელმწიფო შესყიდვების არსი და მოქმედების სფერო;
- რელევანტური ნორმატიული აქტები. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განხილვა; სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა, სხვა აქტები და მათი ურთიერთკავშირი სახელმწიფო შესყიდვებთან;
- დღგ-ს ფაქტორი სახელმწიფო შესყიდვების პროცესში;
- შესყიდვის საშუალებების ზოგადი მიმოხილვა;
- სახელმწიფო შესყიდვის სრული პროცესი;
- სახელწიფო შესყიდვების დაგეგმვა და ერთგვაროვნების დადგენის წესი;
- ერთგვაროვნების დადგენა (Common Procurement Vocabulary – CPV კოდები);
- სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა და სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი;
- შესყიდვის დაგეგმვა, ბაზრის კვლევა/სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა, გეგმის რეგისტრაცია - ePLAN მოდულში, მონეტარული ზღვრები, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისობის დადგენა ბიუჯეტთან,შესყიდვების გეგმის კორექტირება;
- გამარტივებული შესყიდვა და ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- შესყიდვები ხელშეკრულებით - ხელშეკრულების პირობები, ცვლილება ხელშეკრულებაში, ინტერესთა კონფლიქტი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და საავანსო ანგარიშსწორება, საჯარიმო სანქციები;
- შესყიდვები ხელშეკრულების დადების გარეშე - ხელშეკრულების ჩანაცვლება შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით (ინტერნეტ-გამოწერა, წარმომადგენლობითი და სხვა შემთხვევები);
- ანგარიშგება - CMR მოდულის გამოყენება და ანგარიში ხელშეკრულების მიმდინარეობის თაობაზე.
- სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის შექმნა, მისი ფუნქციები, მოვალეობები;
- შესყიდვის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მოთხოვნების განსაზღვრა;
- სატენდერო დოკუმენტაციის, სატენდერო განცხადების შედგენა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ცვლილებები, ტენდერის გამოცხადება;
- ტენდერის განსაკუთრებული შემთხვევა, ერთობლივი, ორ ეტაპიანი ტენდერები და ალტერნატიული ტენდერი;
- სატენდერო წინადადების წარდგენა, ვადები, ელექტრონული ვაჭრობა;

- ოქმების/შეტყობინებების შედგენა/სტატუსების მინიჭება, ხელშეკრულების გაფორმება, ხელშეკრულების მიმდინარეობის თაობაზე ანგარიშის წარდგენა;
- შავი და თეთრი სია;
- კონკურსის მომზადება - საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის მომზადება, გამოცხადება, შედეგების განხილვა და ხელშეკრულების გაფორმება;
- დავების საბჭო, მისი ფუნქციები, მოვალეობები, განხილვის პროცედურები და გადაწყვეტილებები;
- გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შეთანხმება სააგენტოსთან.

სემინარს ესწრებოდნენ რეგიონების რწმუნებულ-გუბერნატორებები და შესყიდვების სამსახურების ხელმძღვანელები, სულ **25** მონაწილე.

https://www.facebook.com/media/set/?set=a.862170257224586.1073741884.573330036108611&type=3

სასწავლო ცენტრის ადმინიტრაცია